ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ა) სამაგისტრო პროგრამის დასახელება: განათლების ფსიქოლოგია და კვლევა - ინგლისური შესატყვისი: Educational psychology and research

ბ) მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფსიქოლოგიის მაგისტრი (განათლების ფსიქოლოგია და კვლევა)

ინგლისური შესატყვისი: M.A. in Educational psychology and research

გ) პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი;

დ) სწავლების ენა: ქართული

ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კვალიფიციური სპეციალისტი განათლების ფსიქოლოგიაში და კვლევაში.
პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება საფუძვლიანი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც შეძლებს მოემსახუროს ბავშვებსა და ახალგაზრდებს ყველა იმ დაწესებულებაში (სკოლა, ოჯახი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და სხვ.), სადაც ისინი იზრდებიან და ყალიბდებიან, რათა დაეხმარონ მათ განვითარებაში, ფსიქიკური რესურსების მაქსიმალურად გამოყენებაში და პრობლემების მინიმუმამდე დაყვენაში.
პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს დაეხმაროს სასწავლო დაწესებულებებს სწავლისა და სწავლების პროცესის დახვეწაში, ხელს შეუწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, დაწესებულების ფსიქლოგიური კლიმატის გაუმჯობესებას, სასწავლო პროცესის მარათვას.
პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს სასწავლო დაწესებულების მიზნებიდან გამომდინარე კვალიფიციური კვლევის დაგეგმვას, ორგანიზებას, ჩატარებას, ადეკვატური დასკვნების გაკეთებას.

ვ) **სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:**
ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კუსდამთავრებული ან საქართველოს ნებისმიერი აკრედიტირებული უნივერსიტეტის ბაკალავრი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სფეროში. სამუშაო გამოცდილების ქონა აუცილებელი არ არის.

მაგისტრატურაში ჩამბარებელმა უნდა წარმოადგინოს ცნობები სამეცნიერო კონფერენციებში, კვლევით ექსპედიციებში, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სტაჟირების, განხორციელებული ემპირიული კვლევების და ა. შ. შესახებ (თუ ასეთი არსებობს). მსგავსი ინფორმაცია არ გაითვალისწინება საგამოცდო შეფასებაში. ის გამოყენებული იქნება, როგორც დამატებითი შეფასების საშუალება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩამბარებელთა მიერ თანაბარი ქულები იქნება მიღებული.

პროგრამაზე ჩაბარების მოთხოვნაა ერთიან ეროვნულ სამაგისტრო გამოცდებზე მინიმალური ქულის მიღება.

ჩარიცხვა იწარმოებს სპეციალობის და ინგლისური ენის (B2) გამოცდის შედეგების მიხედვით. გამოცდები სპეციალობაში მოიცავს საკითხებს განათლების ფსიქოლოგიიდან და კვლევის მეთოდებიდან. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდა ჩატარდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული საგამოცდო სისტემის მიხედვით. გამოცდა ჩატარდება წერით.

ზ) სწავლების შედეგი: მაგისტრი უნდა ფლობდეს სრულყოფილ ცოდნას შემდეგ საგნებში: განვითარების ფსიქოლოგია (ბავშვის კოგნიტური და ფსიქო-სოციალური განვითარება), განათლების ფსიქოლოგია (სწავლა და შეფასება, სასწავლო და პროფესიული გარემო, განათლებისა და სწავლის თეორიები). სტუდენტი დაეუფლება კვლევის კონკრეტულ მეთოდებს, სასწავლო და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.
კურსდამთავრებულს შეძლებს:

- განათლების სფეროში არსებული სამეცნიერო და პრაქტიკული ხასიათის პრობლემის იდენტიფიცირებას;
- საკითხის შესატყვისი მეთოდოლოგიური მიდგომის შემუშავებას;
- სპეციალური ლიტერატურის დამოუკიდებლად მოძიება-დამუშავებას;
- დამოუკიდებელი ემპირიული კვლევის პროფესიულ დონეზე შესრულებას: კვლევის თეორიული, ემპირიული და მეთოდოლოგიური საკითხების გააზრებასა და დაკავშირებას, დადეგმვას, წარმოებას და სტატისტიკურ ანალიზს;
- კვლევის შედეგების საფუძველზე კვალიფიციური დასკვნების გამოტანას და ინტერტპრეტაციას.
- შესატყვისი წერითი ანგარიშის შედგენას და პრეზენტაციას;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებას;
- სპეციალური ტრენინგების დაგეგმვას და ჩატარებას;

კურსდამთავრებულს განუვითარდება შრომის კულტურა და ორგანიზაციის კლიმატისადმი ადაპტაციის უნარი. მას გაცნობიერებული ექნება ფსიქოლოგის და მათ შორის განათლების ფსიქოლოგის პასუხისმგებლობა; მას განუვითარდება ისეთი ღირებულებები, როგორიცაა, ეთიკური ნორმები და მეცნიერული პატიოსნება.

თ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

- ლექცია;
- სამუშაო ჯგუფი - თეორიული მასალის მომზადება და ჯგუფური განხილვა;

- ინდივიდუალური და ჯგუფური სამუშაო: დავალებები - სანიმუშო კვლევითი პროექტი გავლილი მეთოდის გამოყენებით/ან წერილობითი კვლევითი პროექტი/ან პრეზენტაცია;
- საბიბლიოთეკო-კვლევითი პროექტი;
- ემპირიულ კვლევებში მონაწილეობა – კვლევის დაგეგმვა, კვლევითი ინსტრუმენტების მომზადება, მონაცემთა ბაზების მომზადება, მონაცემთა ანალიზი;
- დისკუსია;

ი) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა სხვადასხვა კურსებისთვის მოიცავს რამდენიმე კომპონენტს. ესენია:

- დასწრება;
- სამუშაო ჯგუფი - თეორიული მასალის მომზადება და ჯგუფური განხილვა;
- შუალედური შეფასება - კოლოკვიუმი (ტესტი);
- დავალებები - სანიმუშო კვლევითი პროექტი გავლილი მეთოდის გამოყენებით/ან (წერილობითი კვლევითი პროექტი/ან პრეზენტაცია);
- დისკუსიაში აქტიური მონაწილეობა;
- საბოლოო გამოცდა (ტესტი).

შეფასების სისტემა 100 ქულიანია. საბოლოო გამოცდის ქულა განსაზღვრულია 40 ქულით.

კ) სასწავლო გეგმა (იხ. თანდართული სილაბუსები)

ლ) სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანლები:

1. **მზია წერეთელი** (იხ. **CV** I დანართში)

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი,

ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

მ)დასაქმების საფეროები: დღეს საქართველოში მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი საგანმანათლებლო რეფორმა, რომელიც მოიცავს განათლების სისტემის ყველა რგოლს დაწყებული საბავშვო ბაღიდან დამათავრებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებით. რეფორმა პიროვნების განვითარებაზეა ორიენტირებული და გულისხმობს ყოველი მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინებას სწავლებისას, ახალ სასწავლო გეგმების, მართვის ახალ სტილის, სწავლებისა და შეფასების ახალი მეთოდების დანერგვას და სხვ. ყოველივე ეს განსაკუთრებულად აქტუალურს ხდის სასწავლო პროცესში კვალიფიციური, შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი განათლების ფსიქოლოგიისა და კვლევის სპეციალისტის მონაწილეობას.

ამდენად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში დაინერგოს სამაგისტრო პროგრამა ფსიქოლოგიაში – განათლების ფსიქლოგია და კვლევა.

პროგრამის კურსდამთავრებულები შეიძლებად იმუშაონ შემდეგ თანამდებობებზე: განათლების სისტემის ფსიქოლოგი, სკოლის ფსიქოლოგი, უფროსი/წამყვანი მკვლევარი, უფროსი/წამყვანი კვლევისა და შეფასების სპეციალისტი, პროგრამის კოორდინატორი, კონსულტანტი, პედაგოგი (სერთიფიცირების შემდეგ), მკვლევარი-სპეციალისტი სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სტრუქტურებში.

ნ) დამატებითი ინფორმაცია - სამაგისტრო პროგრამაში გათვალისწინებული განათლების ფსიქოლოგიისა და კვლევის სწავლება განხორციელდება უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის მიმართულებაზე. პროგრამაში გათვალისწინებული სწავლება ამ ეტაპზე არ მოითხოვს სპეციალურ აპარატურას.

მაგისტრანტები ისარგებლებენ ფაკულტეტის კომპიუტერული კლასით, რომელიც მოიცავს 10 კომპუტერს, რომლებიც ჩართულია უნივერსიტეტის საერთო ინტერნეტის ქსელში. სტუდენტები **პრაქტიკას** გაივლიან ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრში. მაგისტრანტები უზრუნველყოფილი იქნებიან თითოეული კურსისათვის სავალდებულო ლიტერატურის კრებულით, ე. წ. "რიდერით". ისინი ისარგებლებენ, აგრეთვე, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ბაზაზე არსებული ბიბლიოთეკებით. მაგისტრანტები ისარგებლებენ აგრეთვე ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ქართული და უცხოენოვანი ბიბლიოთეკით და ცენტრში არსებული სხვა რესურსებით.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა**

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **ფსიქოლოგია.**

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **„განათლების ფსიქოლოგია და კვლევა"**

სწავლების საფეხური: **მაგისტრატურა**

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **მზია წერეთელი, სრული პროფესორი**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **2011 წლის 29 ივნისი, N57 დადგენილება**
ცვლილება: დადგენილება №25/2019. 04.04.19; დადგენილება 20/2020, 24.02.2020; დადგენილება 71/2020, 21.07.2020

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

პროგრამის სტრუქტურა

120 კრედიტი (ECTS) სამაგისტრო პროგრამა შედგება 70 სავალდებულო კრედიტისგან (მათ შორის, 30 კრადიტი სალექციო კურსები, 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი და 10 კრედიტი - პრაქტიკა), 40 კრედიტი არჩევითი კურსია, ხოლო 10 კრედიტი - თავისუფალი.									
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემეტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუმი			შემოდგომა	გაზაფხული	
	სავალდებულო კურსები								
1	განათლების ფსიქოლოგია I (სწავლა და შეფასება; სასწავლო და პროფესიული გარემო)	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	✓		ნინო ლაბარტყავა
2	განათლების ფსიქოლოგია II (განათლებისა და სწავლის თეორიები)	5	15	15	95	განათლების ფსიქოლოგია 1		✓	მზია წერეთელი ან ია აფთარაშვილი

3	სტატისტიკური მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში	5	30	30	65	წინაპირობის გარეშე	✓		ქეთევან მანჯგალაძე
4	რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	✓		მზია წერეთელი
5	ჯგუფური მუშაობის მეთოდები ბავშვებთან 1	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	✓		მანანა მელიქიშვილი
6	სპეციალური სტატისტიკური პროგრამა სოციალური მეცნიერებებისათვის SPSS	5	30	30	65	წინაპირობის გარეშე	✓		ივანე კეჭაყმაძე
	სავალდებულო არჩევითი (სულ 10 კრედიტი, ჩამოთვლილიდან - ერთი)								
1	პრაქტიკა - განათლების პრაქტიკულ ფსიქლოგიაში (სკოლაში)	10	-	60	190	განათლების ფსიქოლოგია 1		✓	სოფიო თევდორაძე
2	პრაქტიკა – განათლების სპეციალისტის საქმიანობა პროფესიული განათლების სიტემაში (შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემია)	10	-	60	190	განათლების ფსიქოლოგია 1	✓	✓	ლაშა ხოჯანაშვილი
3	პრაქტიკა – ინტელექტუალური დარღვევების მქონე მოსწავლეთა განათლებაში	10		60	190	ა) ინტელექტუალური დარღვევების მქონე მოსწავლეთა განათლება ბ)რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები; განათლების ფსიქოლოგია 1,	✓		ანა ლაღიძე
4	პრაქტიკა – განათლების კვლევები და	10		60	190	რაოდენობრივი და		✓	მზია წერეთელი

	შეფასებები (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) კვლევებისა და შეფასების სამმართველოში					თვისებრივი კვლევის მეთოდები	✓		
5	პრაქტიკა – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან	10		60	190	განათლების ფსიქოლოგია 2		✓	მ.წერთელი; ბ.კუბლაშვილი
	არჩევითი კურსები								
1	ინტელექტუალური დარღვევების მქონე მოსწავლეთა განათლება	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე		✓	ანა ლაღიძე
2	ნარატიული კვლევის მეთოდები	5	15	30	80	რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები	✓		ეკა ფირცხალავა
3	კვლევითი პრაქტიკუმი	10	-	60	190	რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები;		✓	მზია წერეთელი
4	ფსიქოსემანტიკა	5	15	15	95	სტატისტიკური მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში ; რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები;		✓	ლალი სურმანიძე
5	ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდები ბავშვებისა და მოზარდებისთვის	5	15	15	95	განათლების ფსიქოლოგია 1, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები.		✓	ირინე გედევანიშვილი
6	ჯგუფური მუშაობის მეთოდები ბავშვებთან 2	5	15	30	80	ჯგუფური მუშაობის მეთოდები ბავშვებთან 1		✓	მანანა მელიქიშვილი
7	სკალირება	5	30	15	80	წინაპირობის გარეშე	✓		რევაზ ჯორბენაძე

8	ფსიქომეტრია	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	✓		ია კუტალაძე
9	მოზარდთა პრობლემები და მშობელთა კონსულტირება	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე		✓	მანანა მელიქიშვილი
10.	საგანმანათლებლო სისტემებისა და სასკოლო განათლების ხარისხი	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	✓		ია აფთარაშვილი
11	შესავალი უმაღლესი განათლების სისტემაში	5	15	30	80	განათლების ფსიქოლოგია1	✓		მარიამ შურღაია
12.	ორგანიზაციული ქცევა განათლებაში	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე		✓	გიორგი გოროშიძე
13.	პროფესიული ინგლისური ენა ფსიქოლოგებისთვის	5		30	95	ინგლისური ენა B2 დონე	✓	✓	ნელი მერაბიშვილი
14.	მოტივაცია და ქცევა	5	15	15	95	განათლების ფსიქოლოგია 2	✓	✓	ლაშა ხოჯანაშვილი
	თავისუფალი კრედიტი	5						✓	✓

	თავისუფალი კრედიტი	5						✓	✓	
	სამაგისტრო ნაშრომი	**30**							✓	~

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი